

საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა კომისიების ერთობლივი სხდომის

ოქმი №4

2018 წლის 15 თებერვალი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დარბაიძე - იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის);
საქართველოს პარლამენტის წევრი, ლაგოდეხი-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი-
გ. მაჭარაშვილი;
საკრებულოს თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ღამბაშიძე;
მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გ. მანგოშვილი.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
გაუქმების შესახებ.

/მომხს: გ. დარბაიძე/

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე წარსადგენად.

/დასკვნა თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს: ვ. სარალიძე/

*კენჭი ეყარა საკითხს, ბიუჯეტის პროექტს, განმარტებითი ბარათის მე-6 მუხლის გარდა
მხარი არ დაუჭირა 2 წევრმა: ე. ლომთაძემ და გ. ენუქიძემ. დამწრე წევრთა ხმების
უმრავლესობით (მომხრე-6)*

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხს: ვ. სარალიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, ხმების უმრავლესობით (მომხრე-8)

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მოხსენის:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: გ.დარბაიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, ხმების უმრავლესობით (მომხრე-9, წინააღმდეგი-0)

გადაწყვეტის:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

კითხვაზე, თუ რატომ არ იქნა სხდომაზე განხილული დადგენილების პროექტები „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ბიუროს წინა სხდომის შემდეგ, წინადადებებით ან შენიშვნებით, საკრებულოს არც ერთ წევრს არ მოუმართავს კომისიისათვის.

კომისიამ წინა სხდომაზე, უკვე იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საკითხები მომზადებულია ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად.

იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გიორგი დარბაიძე